წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. სამშაბათი, 15 გიორგობისთვე 1916 წ. № 255

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რიგზე პეტიტით ღირს [illegible]კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირს 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს მეტი. დამატებითი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

თბილისში ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პროვინციაში: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, конт. Газеты. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი ხარიტონ შავიშვილი.

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია“
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი ახლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

ამხანაგობა
„კახური მეღვინეობა“
ჩუბინიშვილისა და სონღულაშვილისა
კირკის (კიროჩნი) ქუჩა, № 12.
საკუთარ მამულებიდან მივიღეთ საუკეთესო ღვინოები,
თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.
(თ)

ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
◆ იყიდება ზომიერად ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆
კახური ღვინო
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

„სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოში
კედლის კალენდარი
შედგ. მ. გაჩეჩილაძის და გრ. სვ. ჩარკვიანისა
ფასი 70 კაპ.
სახალხო კალენდარი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ფასი 30 კაპ.
1917
„პარტიით“ მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ: Тифлисъ, Типографія „Сорапань“ М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თ. მთავრიშვილისა.

გაფრთხილება. ჩვენი კალენდრის მყიდველებს საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „განახლება“-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება.
(12—252—1)

ეკონომიის
სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.
მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღე: ხაშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.
სასადილოში არის ბარდი და ბილიარდი
პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
(თ. 253) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. ზ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილი — ყავა
ვახშამი — ხაჭაპური
პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხიდ. ს. გიგიბერია.

მსურს ვიყიდო
ხეხილ და ვაზიანი ბაღი
გთხოვთ ფასი და ადგილი მაცნობოთ. თბილისი, დიდუბე, ტრამვაის გადასახვევი № 5. ბინა 3.
(2-399-1)

ექიმი
ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრადნასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
◆ პროვიზორის ახვლედიანისა ◆

ექიმი
პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ისყიდება საღვინე კასრები
სამ ვედრიანიდან ოცდა ათ ვედრიანამდინ და აგრეთვე ისყიდება ახალი გაკეთებული კარ ფანჯარა თავის ჩარჩოებით. პირველ ნაწილში იზმაილოვის ქუჩაზე, № 38. ჰკითხეთ მეეზოვეს.
(2-400-1)

კბილის ექიმი
ნ. გ. ხელიძე-აღშიბაია
იღებს ავადმყოფებს კვირაუქმე დღეების გარდა დილის 10—2 საათამდე. ანდრეევის ქუჩა № 99, რკინის გზის საავადმყოფოს გვერდზე. ტელეფ. 4-83.
(5—373—4)

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალი მოდის საქონელი
(101—წ.)

ერობის გარშემო

პეტრეს ქალაქში „საგანგებოდ“ მყოფი ბ-ნი გ. მ. თუმანოვი გულმოდგინეთ ვექილობს ომეხთათვის. ამ ჟამად ორი წერილი დასტამბა ერთსა და იმავე საგნის შესახებ ორ მოსკოურ გამოცემაში—„არმიანსი ვესტნიკ“ და „რუსკია ვედომოსტ“-ში. ბატონი გ. თუმანოვი დიპლომატიურად იქცევა... კარგად ესმის რუსთა გაზეთის და სომეხთა ჟურნალის თავისებურობა და ისიც სულ სხვა და სხვა ენით და გუნებით მოგვითხრობს ერობის ამბავს... „რუსკ. ვედომოსტ“-ში ბ-ნი თ—ვი სწერს: მეფის ნაცვლის საბჭოს წევრის, ბ-ნ ლიზოგუბის მიერ შედგენილი საერობო კანონ-პროექტი საბჭოს ჯერ კიდევ არ განუხილავს... ეს პროექტი კომპრომისულია, კონსერვატორულ უმრავლესობის და დემოკრატიულ უმცირესობის მოსაზრებათა შემარიგებელი... მაგრამ ლიზოგუბის პროექტის გარდა კიდევ სხვა პროექტებიც არსებობს, რომელთა დედა აზრი ჯერ გაურკვეველია... კერძოდ საშინაო სამინისტრო საერობო გეგმის შედგენაში უახლოეს მონაწილეობას იღებს... სამინისტრო იმ აზრს ემხრობა, ერობა ადგილობრივ პირობებს უნდა შეეგუოს, მაგრამ ეს „შეგუება“ მათ „სრულებითაც არ ესმით დემოკრატიულად“... ადგილობრივი გ[illegible]მოების მიხედვით, მთავრობას შეუძლია, შეჰკვეცოს თვით 1890 წლის საერობო უფლებანი, თუნდ ისე, როგორც ეს ციმბირის ერობის კანონ-პროექტს ხვდა წილადაო...—ასეთ „ანტიდემოკრატიულ“ პერსპექტივას თვალწინ უშლის „რუსკ. ვედომოსტი“-ს მკითხველს ბატონი გ. თუმანოვი და თან არც მეფის ნაცვლის საბჭოს წევრთა პროექტის არსებით აზრს აცნობს—„მაზე ლაპარაკი არ ღირსო, ამ პროექტის დამუშავება ჯერ კიდევ არ გათავებულაო“...

სამაგიეროდ, „არმიან. ვესტ.“-ის წერილი სულ სხვა ჰანგებზეა აწყობილი: აქ „დემოკრატიზაცია“ გვერდზეა მიგდებული, დამწერს ის კი არა, „სომეხთა უფლებანი“ აინტერესებს... ფაქტებიც სხვა ნაირია გადმოლაგებული.. ბ-ნ გ თუმანოვი ასე მოგვითხრობს: ერობის პროექტს ამ დღეებში განიხილავს მეფის ნაცვლის საბჭოო („რუსკ. ვედომოსტ“-ში ხომ სხვა რამეს სწერს—„ჯერ კიდევ დაუმუშავებელიაო!“) ამ პროექტის დედააზრი 1890 წ. დებულებაა, ისე, როგორც საერობო თათბირის უმრავლესობას უნდოდა, მხოლოდ სომეხთა უფლებათა შეზღუდვა კი უარყოფილიაო... სახელდობრ, სათავად-აზნაურო კურიების მაგიერ განზრახულია მიწის მფლობელთა კურიები, სავაჭრო სამრეწველო წოდებას ერობაში მონაწილეობის მიღების უფლება ეძლევა და თბილისი კი ისე, როგორც ბაქო, გამოიყოფა სამაზრო ერობიდანო“... მაგრამ ასეთი „კომპრომისი“ არ ყოფილა დიდად სანუკვარი სომხებისთვის: — მიწისმფლობელთა კურიები ვერას უშველის, რადგან „სომეხთა შორის მიწისმფლობელნი ცოტანი არიანო“; ვაჭარ-მრეწველთა მონაწილეობა კი საერობო გადასახადით განისაზღვრება და ისევე უმნიშვნელო იქნება, როგორც რუსეთში... არც ერთ სამაზრო საერობო კრებაზედ მათ ექვსზე მეტი ხმა არ ექნებათ და დანარჩენ ხმოსანთა რიცხვი კი რამოდენიმე ათეული იქნებაო... საერობო ერთეულთა ტიპი ძველივე რჩება: იქნება მხოლოდ საგუბერნიო და სამაზრო ერობა; არც წვრილი საერობო ერთეული, არც ავტონომიური კუთხეები კანონპროექტს არ შეუწყნარებიაო“... ასეთი „კომპრომისი“, როგორც სჩანს, დიდად არ ეჭაშნიკება ბ. გ. თუმანოვს და იგიც ისევე პესიმისტურად ათავებს „არმ. ვესტ.“-ში ნაწერს, როგორც „რუსკ. ვედომოსტებში“... მხოლოდ თუ რუსთა გაზეთში პესიმიზმი დემოკრატიული იყო, სომეხთა ჟურნალში პესიმიზმი მხოლოდ სომხურია...

ასე ვექილობენ ბ-ნნი თუმანოვები სომეხთა ერობისათვის, კავკასიის და მთელი რუსეთის საზოგადოების და მთავრობის დასაჯერებლად...

ქართველი საზოგადოების და მთელი ამიერ-კავკასიის ერთა უმრავლესობის შეხედულებანი გარკვეულად იყო განცხადებული; რაც უნდა „კომპრომისის“ გზას არ უნდა დაადგეს მთავრობა, მას არ ძალუძს მთელ მხარის უმრავლესობას გვერდი აუხვიოს... და ამ ფაქტს ერთი გ. თუმანოვი კი არა, ასიც ვერ შესცვლის.

ახალი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

უკანასკნელმა დეპეშებმა მეტის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოგვიტანა. ბულგარელ-გერმანელების ჯარს მდინარე დუნაი გადაულახავს და რუმინეთის ტერიტორიაში შეჭრილა ქალაქ ზიმნიცასთან. ეს ნაბიჯი ფელდმარშალ მაკენზენისა სრულიად მოულოდნელია, სამხედრო მიმომხილველთა უმრავლესობა დუნაის გადალახვას ჯერ ჩერნოვოდთან ელოდდა, შემდეგ სილისტრიასთან. მართლაც, თავდაპირველად მაკენზენი სწორედ ჩერნოვოდთან შეეცადა დუნაის მარცხენა ნაპირას გადასულიყო. მაგრამ ტრანსილვანიაში მომხდარმა ამბებმა, როგორცა სჩანს, გავლენა იქონიეს დობრუჯის ლაშქარზე და შესცვალეს მაკენზენის პირვანდელი განზრახვა. როგორც ვიცით, ფალკენჰაინის ჯარი ბოლო დროს უფრო ჩქარის ტემპით წინ მდინარე ალიუტის ხეობაში მიდის. გუშინდელი დეპეშების მიხედვით ის კალიმანშტისა და მოლდარეშტს გასცილებია; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფალკენჰაინის არმია მცირე ვლახეთის შუაგულში იმყოფება, ე. ი. დაახლოვებით ერთნაირად არის დაშორებული ბულგარეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთის საზღვრებს.

ზიმნიცასთან გადასულ ჯარს ორი გზა აქვს ასარჩევი: ერთი მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბუქარესტისკენ, მეორე ჩრდილოეთით პიტეშტისკენ. მოსალოდნელია, რომ მაკენზენი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებას აირჩევს, მით უმეტეს, რომ, როგორც სჩანს, თვით ფალკენჰაინს უკვე პირი აღმოსავლეთისკენ უბრუნებია: რუმინელთა ოფიციალი ცნობა იუწყება, რომ მოწინააღმდეგემ კრაიოვასთან იერიშები დაიწყო და გვაიძულა მდინარე ოლტეცის აღმოსავლეთ ნაპირას გადავსულიყავითო.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ რუმინეთის ერთი უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი პროვინცია, მცირე ვლახეთი უკვე მოწყვეტილია და მტრის განკარგულებაში იმყოფება, დედა-ქალაქს ბუქარესტს კი დიდი საფრთხე ელის.

დანარჩენ ფრონტებზე შედარებით სიწყნარეა. აღსანიშნავია მხოლოდ 6 გერმანული კონტრ-ნაღმოსანის კადნიერი თავდასხმა ინგლისის აღმოსავლეთის ნაპირებზე, ქალაქ რამსგეტის მიდამოებში. გერმანელების ფლოტილიამ მხოლოდ ერთი ინგლისური ტრალერი დააზიანა და უშედეგო სროლის შემდეგ უკან დაბრუნდაო.

X.

ომის დეპეშები

13 გიორგობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი მზვერავები მტრის სანგრებში შეიჭრნენ, მათს მოქმედებას ჩვენი ზარბაზნების სროლა ჰფარავდა. ხელთ იგდეს ტყვეები და ტყვიისმფრქვეველი. სმორგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოპირდაპირემ, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, ბინდისას ორის როტით შემოგვიტია, მაგრამ ზარბაზნების, ყუმბარის მტყორცნელებით და ტყვიისმფრქვეველებით უკუ გაგდეთ და ისევ თავის სანგრებამდე მივლიეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ჩვეულებრივი სროლაა.

კავკასიის ასპარეზზე არსებითი არაფერი მომხდარა.

რუმინეთის ასპარეზი. ტრანსილვანია. მდ. ალიუტის მიდამოებში მტერმა მედგრად შემოუტია რუმინელებს და უკან დაახევინა კალიმანეშტისა და მოლასეშტის სამხრეთით. მოპირდაპირემ კრაიოვიდანაც შეუტია და რუმინელები მდ. ალიუტეცის გაღმა გადარეკა. ზიმნიცასთან გერმანელების ჯარი მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე გადავიდა.

დუნაის ასპარეზი. დობრუჯაში მოპირდაპირემ ჩვენს მოწინავე რაზმებზე იერიშით წამოსვლა სცადა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

კირლიბაბას ჩრდილო აღმოსავლეთით მოპირდაპირე მედგრად უშენდა ზარბაზნებს ჩვენს სანგრებს.

კავკასიისა, ტრანსილვანიისა და დუნაის ასპარეზებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

14 გიორგობისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მოლოდეჩნის ჩრდილო-დასავლეთით სადგურ პრუდთან ტყვიისმფრქვეველებით გერმანელების საფრენი ჩამოვაგდეთ. ზედ მყოფი აფიცერი და ჯარისკაცი დავატყვევეთ. მდ. სტოხოდზე, ს. ვულკა პორსკაიასთან ჩამოვარდა როგიშჩეს ჩრდილოეთით სოფ. პოჟაარკისთან ჩვენმიერ დაზიანებული მტრის საფრენი. საფრენს ფრთები მოსწყდა. მფრინავები დავატყვევეთ. ნოვოალექსინეცის დასავლეთით გაცხარებული სროლაა. ჩვენს ასპარეზზე გუშინ მტრის საფრენები დასტრიალებდნენ. ერთი მათგანი ჩვენმა მფრინავმა კაპიტანმა ბაფტალოვსკის 30 წუთის ბრძოლის შემდეგ იძულებული ჰყო რუდნია პოჩაევსკაის სადგურთან დაშვებულიყო. საფრენი მთელი აღმოჩნდა ზედ იყო ორი ტყვიისმფრქვეველი. მფრინავი და მეთვალყურე დავატყვევეთ. ეზესნ-ზოლოჩევის რკინისგზის სამხრეთ დასავლეთით სოფ. ავგუსტოვკასთან ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს და მოპირდაპირის დარაჯები ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წამოიყვანეს.

13 გიორგობისთვე

ოდესა. ბუქარესტიდან მოსულნი გადმოგვცემენ: თუმცა მტრის მფრინავები გაფაციცებით მოქმედებენ, მაგრამ ფრანგი მფრინავები მაინც ახერხებენ სალონიკსა და ბუქარესტს შუა მიმოსვლას. თითო გზობას 6 საათს ანდომებენ. ერთმა ფრანგის მფრინავმა ბუქარესტში მიიტანა, საბერძნეთის ეროვნულ ჯარის მიმართვა რუმინელებისადმი, სადაც ნათქვამია, თურმე: მოახლოვდა დღე, როდესაც საბერძნეთის ჯარი აქტიურ მოქმედებას დაიწყებს, რომ რუმინეთის ასპარეზიდან ბულგარეთის ჯარის ნაწილი ჩვენსკენ მოვიზიდოთო.

უკანასკნელ დროს ბულგარელებმა რამდენჯერმე სცადეს ვინდინიდან მოქმედება ტურნ-სევერინის მხარეს გადაეტანათ. ბულგარელებმა რამდენჯერმე სცადეს ვინდინის მიდამოებში ტივის ხიდებით გაღმა გასულიყვნენ, მაგრამ მალე შეუტყეს და ხელი შეუშალესო.

ლონდონი. სალამოს ოფიც. ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე გერმანელებმა 11 გიორგობისთვეს ზარბაზნები დაუშინეს ინგლისელების ბრძოლის ხაზს, ლებე-ბოკურის მიდამოებს და ლა-ბასეს არხის ორივ ნაპირას. პოიზიეს სამხრეთით გერმანელების ქვეითა ჯარი სროლით გავფანტეთ. გუშინ 20 საფრენისაგან შემდგარ გერმანელების ესკადრას ჩვენი მფრინავები შეებრძოლნენ, ერთი გაანადგურეს, რამდენიმე დააზიანეს და იძულებული ჰყვეს ძირს დაშვებულიყვნენ. ჩვენი მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ. მეორე ბრძოლის დროს გერმანელების 4 საფრენი გაანადგურეს. ჩვენ 3 საფრენი დაგვეკარგა.

ლონდონი. საადმირალო იტყობინება. 11 გიორგობისთვეს, სალონიკიდან მალტას მიმავალი საჰოსპიტლო გემი „ბრემენკასტლ“-ი ნაღმს წააწყდა ეგეის ზღვაში მიკენის სრუტესთან და დაიღუპა. შეიძლება წყალქვეშას ნაღმიც მოჰხვდა. ზედ მყოფნი ყველანი გადაარჩინეს.

პარიზი. მახლობელ აღმოსავლეთში. გრუნიშტის მიდამოებში სერბიელებმა 11 გიორგობისთვეს ბულგარელების იერიში მოიგერიეს.

მონასტირის დასავლეთით იტალიის ჯარი წინ მიიწევს.

პირეი. ათინიდან ავსტრია-გერმანელთა და ოსმალ-ბულგარელთა გაძევების გამო საბერძნეთის მთავრობამ ფორმალური პროტესტი განაცხადა, რომლითაც ჰსურდა ეჩვენებინა, რომ საბერძნეთი არაფერ შუაშია მათს გაძევებაში. ამგვარად საბერძნეთმა საშუალება დაიტოვა, რომ ცენტრალ სახელმწიფოებთან დამოკიდებულება კვლავაც იქონიოს.

ათინა (დაგვიანებული გზაში). ადმირალმა ფურნიემ ახალი მოთხოვნილება წარუდგინა საბერძნეთის მთავრობას, რომლითაც მოითხოვს უცხოეთის 20 ქვეშევრდომი, რომელთაც ჯაშუშობას სწამებენ, გააძეოს. მათ შორის არიან გერმანეთისა და ავსტრიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის დირექტორები და ამ დაწესებულებათა მთელი შემადგენლობა.

კრიტის კუნძულზე მყოფი სამეფო გვარდიის ჯარი სალონიკის მოძრაობას მიემხრო.

ათინა (გზაში დაგვიანებული) ცენტრალ სახელმწიფოთა და მათი მოკავშირეთა დესპანები დილის 11 საათზე გამოცხადდნენ გემ „მიკალი“-ზე. ისინი გამოაცილეს გარეშე საქმეთა მინისტრმა გოუმარშალმა მერკატიმ და თეოტოკისმა. იმავე გემით გაემგზავრნენ ავსტრიისა და გერმანეთის კონსულები და საარქეოლოგიო ინსტიტუტის დირექტორები.

ათინა. 9 გიორგობისთვე. შუადღისას საბერძნეთის მთავრობამ 4 ცალად დაწერილი პასუხი გადასცა ადმირალ ფურნიეს, სადაც მოთხოვნილებებზე ცივი უარია გამოცხადებული. პასუხი მოკავშირე სახელმწიფოთა სახელობაზეა მიმართული.

ღამე მოიყვანეს პირეიში 1150 კაცი, ინგლისურ საჰოსპიტალო დაღუპულ გემზე გადარჩენილი. მათ შორის რამდენიმე დაჭრილი აფიცერი და სანიტარია. 28 დაჭრილი პირეის რუსების ჰოსპიტალში მოათავსეს, 30 დაჭრილი კერაცენში წაიყვანეს.

ათინა. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან: მოკავშირეთა ჯარმა ლარისსი დაიჭირაო.

14 გიორგობისთვე

პარიზი. სალამოს ოფიც. ცნობა. ვოს სიმაგრის მიდამოებში ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა.

ლონდონი. საადმირალო ოფიც. იტყობინება: 10 გიორგობისთვეს ღამე გერმანელების 6 ნაღმოსნების გამანადგურებელმა გემმა ნორტდოუს სანაპიროებთან მოახლოვება სცადა. მოდარაჯე გემებმა მალე შეამჩნიეს. მოპირდაპირის გემებმა მოასწრეს 12 ყუმბარის სროლა და იძულებული გახდნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ. ერთი ყუმბარა ნაღმების მკრეფ გემს მოხვდა. ზედ მყოფთაგან არავინ დაშავებულა. გემის ბაქანი დაზიანდა. ქალაქ რამსგეტს არც ერთი ყუმბარა არ მოჰხვედრია.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. მახლობელი აღმოსავლეთი. მონასტირის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ მიდამოებში მედგარი და ცხარე ბრძოლაა ზარბაზნებით. უამინდობის გამო ქვეითა ჯარი არ მოქმედობს.

იტალიელებმა მონასტირის ჩრდილო-დასავლეთით, ტარნოვესკენ წინ წაიწიეს.

ნეოხორის მიდამოებში ინგლისის მფრინავები მარჯვედ ესროდნენ მტრის ბანაკს.

ათინა საჰოსპიტალო გემი „ბრიტანიკ“-ი 12 გიორგობისთვეს დილით ნაღმით დაიღუპა. აფეთქების შემდეგ გემი 45 წუთს შერჩა ზღვის ზედაპირს; ნავები ჩაუშვეს ზღვაში, შიგ ჩასხეს დაჭრილები, მეზღვაურებს პროპკის ქამრები დაურიგეს. მოკავშირეთა ესკადრამ საშველად გემები გაჰგზავნა. 30 დაჭრილი გადაარჩინეს. 60 დაიღუპა. ამათგან 5 გუშინ მიწას მიაბარეს პირეიაში.

ოდესა. რუმინეთიდან მიღებულის ცნობებით, გერმანელების ჯარი ჟიუს და ალიუტის ველებში მედგრად ანვითარებენ მძიმე ზარბაზნების მოქმედებას. აქ თავი მოუყრიათ დიდძალი ზარბაზნებისათვის, რომელიც გაცილებით სჭარბობს რუმინელებისას. ამის გამო რუმინელების ჯარი იძულებულია დროებით უკან დაიხიოს.

ოდესა. აქ მიღებულის ცნობებით, ბულგარელებს განზრახავთ სოფიიდან, ვარნიდან და რუშჩუკიდან ბულგარეთის შუაგულისაკენ გადაიტანონ ლაზარეთები და ჰოსპიტლები. აგრეთვე დუნაის და ზღვის მახლობლად მდებარე ქალაქებიდან და სოფლის მიდამოებიდანაც აპირებენ მათს გადატანასაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთი

ფალკენჰაინის მოქმედება.

როგორც დეპეშებიდანაც ვიცით ფალკენჰაინმა ვლახეთში, ჟიუს ველში აიღო ფილიაშის სადგური. სადგური ფილიაში კ. შუმსკის ცნობებით მდებარეობს ვლახეთში ტრანსილვანიის მიჯნებიდან 80 ვერსის მანძილზე, ქალაქ ტირგუჟიულიდან 53 ვერსზე. ეს ქალაქი რუმინელებმა უკვე დასცალეს. ამგვარად ფალკენჰაინის მხოლოდ ერთმა ჯარმა გაიკაფა ვლახეთის ასეთს სიღრმეში გზა და ქ. კრაიოვოს 35 ვერსით მიუახლოვდა. ამ ქალაქში მშვიდობიანობის დროს რუმინეთის ერთ-ერთ კორპუსის მთავარი ბანაკი იყო.

აქამდე ფალკენჰაინის ჯარი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართებოდა. ეხლა კი, რადგანაც კრაიევოდან რკინის გზა მიდის აღმოსავლეთისაკენ, რომელიც რუმინეთს სიგანეზე გადაჰსერავს, მათი გზა პიტეშტის სადგურისაკენ არის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ამ სახით გერმანელებმა რუმინეთის დასავლეთ საზღვრებიდან ფილიაშის სადგურამდე დაიპყრეს 80 ვერსის მანძილი და ამითი რუმინეთის ბრძოლის ხაზი, რომელიც 1000 ვერსს უდრის, ჯერ-ჯერობით მხოლოდ 30—40 ვერსით შეამოკლეს. გერმანელებს დაპყრობილი აქვთ რუმინეთის მიწა-წყალი 80 ვერსი სიგრძე-სიგანეზე.

მოპირდაპირემ კვლავ სამხრეთისაკენ წაიწია მდ. ალიუტის მარცხენა ნაპირას და სერბანეშტამდე მივიდა. მაშასადამე, იგი ამ გზით შეჭრილა ვლახეთში 25 ვერსზე ტრანსილვანიის საზღვრებიდან.

გერმანელებმა 35 ვერსით სამხრეთისაკენ წაიწიეს აგრეთვე მ. არგისის ველითაც. ეს ახალი მიმართულებაა, რომელიც ალიუტის და ტირგუჟიუს დასწვრივ სამხრეთისაკენ მიდის. ამ გზით მოპირდაპირე გავა პიტეშტის სადგურთან, სადაც რკინის გზის ლიანდაგები ჯვარედინდება, აქედან რუმინეთის კიმპოლუნგისაკენაც მიდის რკინის გზა.

შესაძლებელია, რომ ჟიუს ველში მოპირდაპირე სადემონსტრაციო მოქმედებას აწარმოებს, რათა რუმინეთის ჯარი ბუქარესტის უმთავრეს გზებიდან თავისკენ მიიზიდოს. ამ გზების გეზზე შესაფერ დროის მოლოდინში სდგას ფალკენჰაინის ჯარი ჩრდილოეთის მხრით, ხოლო მაკენზენის ჯარი სამხრეთით.

მაკედონია

„დენ“-ის სამხედრო მიმომხილველი ს. დიმიტრიევი მოკავშირეთა მიერ მონასტირის აღებას ეხება და სწერს: თუმცა მაკედონიის ასპარეზი რუმინეთის გვერდით მდებარეობს, მაგრამ რუმინეთის ბედის გადაწყვეტაზე აქ სარაილის მოქმედებას გადამწყვეტი გავლენა არ შეიძლება ჰქონდეს. აქ მოქმედებამ რომ ასეთი გავლენა იქონიოს ამისთვის საჭიროა დიდი დრო. ეხლა, როდესაც მოპირდაპირე ბუქარესტისაკენ მიმავალ გზებზე თანდათან ანვითარებს და აფართოვებს მოქმედებას, სალონიკიდან სოფიისაკენ მიტანილი იერიში ჩრდილში რჩება. მით უმეტეს, რომ მაკედონიაში სამხედრო მოქმედება მეტის-მეტად ნელის ნაბიჯით ვითარდება. ამაზე ერთის მხრით გავლენა აქვს საბერძნეთის „ნეიტრალობის“ ქურქში გამოხვეულ საეჭვო მოქმედებას, რომელიც, როგორც გამოირკვა, ცენტრალ სახელმწიფოებისაკენ აშკარად იხრება. საჭიროა გავიხსენოთ, რომ მხოლოდ ადმირალ ფურნიეს ენერგიულმა მოქმედებამ ჩაუშალა მზაკვრული გეგმა ათინის მთავრობას, რომელიც ლარისში სიმაგრეებს აგებდა, სადაც ტახტის და გერმანეთის ერთგული ჯარი 30-40 ათასი უნდა მოეთავსებინათ. ამას კი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა, რადგანაც ეს რკინის გზის ლიანდაგები რომ ხელში ჰქონოდათ, არამც თუ შეჰკრავდნენ სალონიკიდან მონასტირისაკენ მიმავალ ლიანდაგს, არამედ მუდმივ მუქარად იქნებოდა მოკავშირეთა ბანაკისა და მათს დასაყრდნობ ადგილებისათვის.

როდესაც მოკავშირეებმა აიღეს მაღლობი „1212“, ამითი თავისთავად სწყდებოდა მონასტირის დამხობის ბედიც. მოპირდაპირეს აქ რომ თავის დაცვა დაეწყო, იგი უსათუოდ საფრთხეში ჩააგდებდა მონასტირის მიდამოებში მომქმედ თავის ჯარს. ამისათვისაც მან თვითონვე სწრაფად დასტოვა ეს მოსაგერიებელი ხაზი 5—6 გიორგობისთვეს და პრილეპისაკენ მიმავალ გზებით გამაგრდა.

თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მონასტირის დამხობას, ამას ხვალის ნომერში შევეხებით.

უკანასკნელი ცნობები

„რეჩი“ ფიქრობს, რომ სათათბიროს სხდომათა შეწყვეტას აზრად ისა აქვს, რომ ახალმა პრემიერმა ახალი კაბინეტი შეადგინოს და გამოარკვიოს თავისი პროგრამაცა.

—

სათათბიროს კულუარებში შტიურმერის გადაყენება უხარიათ. მისი წასვლა სათათბიროსთვის ზნეობრივ დაკმაყოფილებად მიაჩნიათ. ტრეპოვს შტიურმერის სისტემის განმგრძობ ადამიანად მიაჩნიათ.

—

დანამდვილებით ამბობენ, რომ სამსახურს თავს ანებებენ: ა. პროტოპოპოვი, სინოდის ობერ პროკურორი რაევი, თ. შახოვსკოი, გრაფი ბობრინსკი და სხ.

—

სახელმწიფო სტამბიდან გამოვიდა სტენოგრაფიული ანგარიში სახელმწიფო სათათბიროს სხდომებისა. ცენზურის მიერ გაზეთებში დაჭრილი სიტყვები დეპუტატებისა სავსებითაა დაბეჭდილი.

—

ტრეპოვს საჭიროდ მიაჩნია თავისს პროგრამას საფუძვლად დაუდოს: ომის გაგრძელება გამარჯვებამდე და უცვლელად დაცვა კავშირისა ინგლისსა. საფრანგეთსა, იტალიასა და იაპონიასთან.

ახალი ამბავი

სასახლეში

◆ მეფის ნაცვლის დეპეშის თანახმად საგარაკო ყრილობის ნებართვა უკვე მოვიდა. ყრილობა დიდმარხვაში გაიმართება.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ ოფიციალ ქაღალდით აუწყა დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლათა დირექტორს, რომ ხუცუბნის (ბათომის ოლქში) პირველ-დაწყებით და სააგრონომიო სკოლების გამგე-მასწავლებლად დანიშნულია საქველმოქმედო საზოგადოების მიერ არ. ს. წითლიძე.

◆ **მოხსენება ი. გულისაშვილისა.** ქ. საქვ. საზ. ბათომის რაიონულ განყოფილებამ წარმოუდგინა მთავარ გამგეობას სკოლების მეთვალყურის ი. გულისაშვილის მოხსენება. როგორც ამ მოხსენებიდანა სჩანს, საზოგადოთ საქვ. საზ. სკოლებში მოწაფეების რიცხვს უმატნია, რაც აიხსნება მუშაობის გათავებით. ქვემო აგარის სკოლაში კი მოწაფეთა რიცხვი კლებულობს, მიზეზის, გასაგებად ამ დღეებში სკოლების მეთვალყური უკვე გამგზავრებულა ქვემო აგარაში. წარმოდგენილია აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა სამი სკოლის შენობისა და ოთხი საკუთარ მიწა-ადგილისა. შეძენილია ალამბარში 1 დესეტინა, ხუცუბანში 3½ დეს. ყოროლისთავში 2 დეს. და ქვემო აგარაში 4 დესეტინა. სულ ეს მიწები დაჯდა 6275 მ. 20 კ. სახლების აშენება დაჯდა 16182 მ. 32 კაპ. მოსალოდნელია კიდევ ხარჯები 4680 მან. ასე, რომ საერთო ჯამი ამ შენობების და მიწების ხარჯისა უდრის 27137 მ. 52 კ.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქის საავადმყოფოში** ირიცხებოდნენ 14 გიორგობისთვეს, დილით: ქუნთრუშიანი 233, ხუნაგიანი 30, ყვავილიანი 24, სახადიანი 88, საოფლიანი 447 და მუცლათი 7 კაცი.

◆ **ქალაქის სახურსათო საქმეთა** აღმასრულებელ კომისიაში, რომელიც ქალაქის საბჭომ უნდა აირჩიოს, გამგეობისა და საბჭოს მიერ საგანგებოდ არჩეულ კომისიის შეერთებულ სხდომის დადგენილების მიხედვით, ეს დადგენილება თუ შეიწყნარა საბჭომ, სათათბირო ხმის უფლებით წევრებად უნდა შევიდეს კოოპერატივების მხრივ 4 კაცი.

სომეხთა შორის.

◆ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას** ატყობინებენ, რომ სურმალინის მაზრაში 9 ახალი სკოლა გახსნა საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ 2,000 გადმოხვეწილთა ბავშვებისათვის და კიდევ აპირებს ახალი სკოლების მოწყობასო. ამ ნიადაგზე საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას დიდი შეტაკება მოსვლია „ძმური დახმარების“ კომიტეტთან, რადგან ახალ სკოლებს ხსნის იმ ადგილებში, საცა უკვე არსებობს „ძმური დახმარების“ სკოლები და ამ უკანასკნელთა მასწავლებლებს და მოსწავლეებს იზიდავს თურმე ახალ სკოლებში. კომიტეტი სთხოვს საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ ასეთ არა-სასიამოვნო მოვლენის წინააღმდეგ ღონისძიება იხმაროს.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **ქვრივ დედოფლის დაბადების დღეს** გუშინ სამხედრო ტაძარში გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი საქართველოს ექსარხოსის მიერ. ქალაქი დილით ალმებით იყო მორთული, ხოლო სალამოთი გაჩირაღდნებული.

◆ **ახალ კლუბის** წევრთა საგანგებო კრება კვირას 14 გიორგობისთვეს დასრულდა. კრებამ დაამტკიცა წინანდელ კვირის სხდომის ანგარიში. შემდეგ მოისმინა მოხსენება კლუბის კონტორის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ ომის დროს. კრებამ დაადგინა მოუმატოს იმ მოსამსახურეთ, რომელნიც 600 მანეთს იღებენ, 40 პროცენტი, ვინც 600—1000 მ. იღებს—25 პროცენტი, ხოლო 1000 მან. მეტს ვინც იღებს—20 პროცენტი. დასასრულ, მოხდა მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები. ქართველ ლაშქარს მამასახლისთა საბჭომ უნდა მიართვას ძვირად მოძრავი ტაძრის სამკაული. კრებაზე აჩვენეს ეს ნივთები და ძლიერ მოეწონათ. ამ დღეებში საგანგებო კომისია, თ-დ მ. დ. ჰავჯავაძის მეთაურობით ამ სამკაულებს მიართმევს ამ ქართველ ლაშქარს.

◆ **მომხმარებელი საზოგადოება „აღორძინება“.** კვირას, 13 ამა თვეს, მოხდა გაგრძელება წინანდელ კვირას შეწყვეტილი საზოგადო-კრებისა. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ნ. ელიავა, თავმჯდომარის ამხანაგად კ. ნინიძე, ხოლო მდივნად მ. წიოქვაძე. კრება დაუბრუნდა წლიურ ანგარიშის განხილვას და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაამტკიცა ანგარიში, რომლის ბალანსი უდრის 72.486 მან. 10½ კაპ. კრებამ დიდძალ ხმის უმეტესობით მადლობა გამოუცხადა გამგეობას და ბუჰგალტერს ბ-ნ პალატნიკოვს. საკმაოდ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: გამგეობას საზოგადოებიდან გაურიცხავს ჯერ ერთი და შემდეგ კიდევ 4. გამგეობა თავის საქციელს იმით ასაბუთებდა, რომ გარიცხული წევრები ჩარჩები არიანო. ბ-ნი ალ. ლომთათიძე და ზოგიერთი სხვებიც ამტკიცებდნენ, რომ წევრების გამორიცხვა საზოგადოებიდან მხოლოდ კრებას შეუძლიან და გამგეობის მოქმედება ამ შემთხვევაში კრების უფლების დარღვევას მოასწავებსო. კრების უმრავლესობამ ასეთი აზრი არ გაიზიარა; იგი ამტკიცებდა, რომ წევრები გამგეობამ მიიღო და თუ ზოგიერთი მათგანი უღირსნი აღმოჩნდნენ და გამგეობამ ისინი დაითხოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ გამგეობას თავისი შეცდომა გაუსწორებია და ასეთი საქციელისათვის გამგეობა მადლობის ღირსიც არისო. კრებამ გამგეობის საქციელი კანონიერად აღიარა და მადლობაც გამოუცხადა მას. შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთაღრიცხვის განხილვას 1 მკათათვიდან მომავალ წლის 1 იანვრამდე. შემოსავალი ამ ხარჯთაღრიცხვით ნავარაუდევია 26 300 მან., ხარჯები 21.900 მან, წმინდა მოგება რჩება 5600 მან. ხარჯთაღრიცხვა შეწყნარებულ იქმნა. აგრეთვე შეიწყნარა კრებამ გამგეობის შემდეგი მოხსენება: მოწვეულ იქმნეს საზოგადოების საქმეთა უფროსი გამგე და მისი თანაშემწე; პირველს მათგანს დაენიშნოს თვიურად 250 მან., ხოლო თანაშემწეს 150 მან., შემცირდეს გამგეობის წევრთა რიცხვი 7 კაციდან 5 მდე და თითო მათგანს თვიურად დაენიშნოს 40 მან. ბოლოს კრება შეუდგა არჩევნებს და არჩეულ იქმნენ: 1) გამგეობის წევრებად ბ-ნნი ერაძე, ქიაბრიშვილი, იოვჩენკო, ბოლქვაძე და მარსაკოვი, 2) გამგეობის წევრთა კანდიდატებად: ფანიაშვილი, მიხაილიდი და დენისოვი; 3) სარევიზიო კომისიის წევრებად მ. ტოროშელიძე, ცაბაძე და მიკირტუმოვი; 4) სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატებად ხახანაშვილი და ბესელიძე

◆ **ექსკურსია.** წარსულ კვირას 13 ამ თვეს, მცხეთაში საექსკურსიოდ იყვნენ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა მომხმარებელ ამხანაგობის „ეკონომიის“ კულტურულ განმანათლებელ სექციის წევრნი. მათ დაათვალიერეს მცხეთის ტაძრის სიძველენი, ნავთის ბაკები და სხვა შესანიშნავი ადგილები. მცხეთის ტაძრის დათვალიერების დროს, განმარტებას აძლევდა ექსკურსანტებს ტაძრის [illegible] რი მამა ჯ[illegible]. სექცია ფიქრობს ხშირად მოაწყოს ექსკურსიები. სექციას დახმარება აღუთქვეს ქართულ საეთნოგრაფიო საზოგადოების ზოგიერთმა წევრებმა.

◆ **ფქვილი** ცოტა არის თბილისში. 30 ვაგონი, რომელიც ქალაქის გამგეობა ისესხა გუბერნატორისაგან, სავსებით დაურიგდა მეპურეებს. 77 ვაგონი ფქვილი, რომელსაც გამგეობა მოელოდა ნოვოროსიისკიდან, ჯერ არ მოსულა. თუ დროზე არსაიდან მოვიდა ფქვილი, ქალაქის გამგეობა ანუ საინტენდანტოდან და ანუ ისევ გუბერნატორისაგან ისესხებს.

◆ **შაქრის** სიმცირემ შესამჩნევად იჩინა თავი თბილისში. ქალაქის გამგეობა ერთობ ცოტა შაქარს აძლევს კოოპერატივებს, ასე რომ ზოგიერთ მომხმარებელ ამხანაგობას სრულებით არ მოეპოვება შაქარი.

◆ **ომის გავლენა.** თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით, ნალჩიკის (თერგის ოლქში) ქართველობა ძალზე გაღარიბებულა თანამედროვე ომის ზეგავლენით. ამ პატარა სოფელს სამაგალითო სკოლა ჰქონდა, წერა-კითხვის საზოგადოების მიერ დაარსებული, რომელსაც თავისი ხარჯით ინახავდა და სკოლისათვის საკუთარი შესაფერისი შენობის აგებას აპირობდა. სოფელს იმდენად გასჭირებია, რომ საზოგადოების გამგეობისათვის უთხოვნია დახმარება სკოლის შესანახად.

◆ **ხილის მაზანდა.** ამხანაგობა „ქართლის“ ცნობით თბილისის ბაზარზე 10—14 გიორგობისთვეს ხილის მაზანდა იყო: ვაშლი: კანადის რენეტი—12 მ.—6 მან. წითელი კალვილი 8 მ.—4 მან.; თეთრი კალვილი 12 მ.—5 მან.; ზაფრანის რენეტი 10 მ.—5 მან. აპილსინი 6 მ.—3 მან; მსხალი: ევროპიული ჯიშისა 9 მ.—5 მან. მოკლეკუნწა 7 მ.—4 მან. გოხა 5 მ.—4 მან. ვაშლისა და მსხალის ჩირი: I ხარისხი 16 მ.—12 მან. II ხარ. 12 მ.—10 მან. მანდარინი ასეული 22 მ.—9 მან.; კომში 5 მ.—3 მან.

◆ **ი. პ როსტომაშვილს** დაუმზადებია გამოსაცემად ორი წიგნი: 1) ფრანგი ნოელი, მოთხრობა სოფლის ცხოვრება-მეურნეობიდან და 2) პრაქტიკული ბაღოსნობა-მეხილეობა. თუ ვინმე ამ წიგნების გამოცემას მოისურვებს, პირობების შესატყობად ბ-ნ როსტომაშვილს უნდა მიმართოს თბილისში, თუმანოვის შესახვევში, სახ. 24.

ქუთაისი.

9 გიორგობისთვეს რესტორან „დათვში“ ვლადიმერ მდივანმა თ-დ კოწია წულუკიძეს რევოლვერი ესროლა. დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს და გარდაიცვალა. განსვენებული შვილის-შვილია სვანეთის უკანასკნელ მთავრის კონს. (მურზაყან) დადეშქელიანისა.

ბათომი.

ტრაპიზონიდან აქ დიდძალი თხილი, თუთუნი და დაფნის ფოთოლი ჩამოიტანეს უბაჟოდ. სამივე საქონლის ფასი დაეცა.

დ. ცხინვალი (გორის მაზრა).

მისალოცნი არიან ცხინვალელნი, რომ მათ დაიარსეს მომხმარებელი საზოგადოება, რომელშიაც ეწერებიან ახლო-მახლო სოფლებიდანაც. ვუსურვებთ ამ ფრიად კეთილ საქმის ხელმძღვანელებს ენერგიას, რომ ღირსეულად შეასრულონ თვისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე.

ცხინვალს ბევრი სოფელი ახვევია ირგვლივ და ბევრ მათგანში არსებობს სკოლა; ამ სკოლებისთვის საჭიროა ბევრი სასწავლო საგნები და წიგნები; კარგი იქნება, რომ კოოპერატივმა ამ ფრიად საჭირო საგნებითაც დაიწყოს ვაჭრობა; ეს საქმე შეიძლება იკისროს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ცხინვალის განყოფილებამ; ამით ეს საზოგადოება გაიჩენს კარგ შემოსავლიან წყაროს და მოსწავლე ბავშვებსაც ჩარჩებს ხელიდან იხსნის.

ს. ჭკადუა (სამეგრელო).

მივაქცევთ ზუგდიდის საფოსტო-კანტორის ყურადღებას შემდეგს გარემოებაზე: ეს კანტორა ომის ველიდან მოსულ წერილებს ერთ სოფლის მაგივრად მეორეში ჰგზავნის. მაგ. სოფ. ჭქვინჯის წერილებსა ჰგზავნის სოფ ჭკადუაში, სადაც ასეთი უპატრონო წერილები აფარებელი ჰყრია სოფლის სასამართლოს ბუხრის თავზე. ეს ალბად იმიტომა ხდება, რომ ორსავ სოფლის სახელი რუსული „ჩ“-თი იწყება, მაგრამ ამ სოფლებს კანტორაში ხომ თავ-თავისი საფოსტო უჯრები აქვთ. საჭიროა მხოლოდ ფოსტის უჯრებში განმაწილებელმა პირველის გარდა მეორე ასოსაც დაჰხე-

დოს, რომ გაარჩიოს—Чкадуашви აწერია ბარათს, თუ Чаквинджи.

აგრეთვე ამბობენ, ამავე საფოსტო კანტორაში ტყვეებთან გასაგზავნ წერილ-ამანათებზე მისამართის დაწერაში ზედ-მეტ „ხელ-ფასს“ იღებენ და აგრეთვე ოქროს ფულის მეტს არ ღებულობენ საზღვარ-გარედ (ტყვეებთან) გასაგზავნადო.

სახალხო სკოლა და საპროფესიონალო განათლება

კვირას, 13 გიორგობისთვეს, დანიშნული იყო კრება ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა გამგეობისა და სხვა ქართულ დაწესებულებების გამგეობათა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ კერძო პირნიც. ღამის 7 ნახევარ საათზე კავშირის თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა კრება გახსნა. როგორც ვიცით, ამ კრებაზე კამათი უნდა ყოფილიყო ბ-ნ ლ. ბოცვაძის რეფერატის გამო სახალხო სკოლებისა და საპროფესიონალო განათლების რიგიანად მოწყობის შესახებ. რადგან კრებაზე ცოტა ხალხი იყო და ზოგიერთმა მათგანმა განაცხადა, რომ არც რეფერატი მოგვისმენია და არც რეფერატის თეზისები წაგვიკითხავსო, ამიტომ კამათის გადადება ითხოვეს, სანამ რეფერატი არ დაიბეჭდება და ფართე საზოგადოება არ გაეცნობა იმის შინაარსსაო. მაგრამ კრების უმრავლესობამ საჭიროდ არა სცნო ასეთი წინადადების შეწყნარება და რეფერატის თეზისების განხილვა მოითხოვა (თეზისები დაბეჭდილი იყო „საქართველოს“ მე-243 ნომერში (1 გიორგობისთვე 1916 წ.). კრებას თანდათან მიემატა ხალხი, მომეტებულად მასწავლებლები. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ბ.ბ. ალ. ჭიჭინაძემ, ალ. მიქაბერიძემ, ივ. რატიშვილმა, ჯაფარიძემ, დ. დუმბაძემ, არ. მამულაიშვილმა, თვით ბ-ნმა ლ. ბოცვაძემ და სხ. კრებას ხელმძღვანელობდა ბ-ნი ექ. თაყაიშვილი. თეზისები რეფერატისა თითქმის ყველა შეწყნარებულ იქმნა; 1) პროფესიონალ განათლებას უთუოდ წინ უნდა მიუძღოდეს ზოგადი განათლება და საპროფესიონალო განათლების გარდაცემა ერთსა და იმავე სასწავლებელში, არც დაბალ ხარისხისა და არც მაღალ ხარისხისაში, არეული არ უნდა იყვეს, არამედ ბავშვებმა ჯერ უნდა მიიღონ ზოგადი განათლება და შემდეგ სპეციალ სასწავლებლებში (დაბალსა და საშუალო ტიპისაში) შეუდგნენ პროფესიონალ განათლების მიღებას. ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ბუნებრივად მრავალფეროვანია, ამიტომ ბუნებისა და ჰავის მიხედვით სხვა და სხვა კუთხეში შესაფერისი საპროფესიონალო განათლების სკოლა უნდა იქმნას დაარსებული, მაგალითად, თიანეთის მაზრაში—მერძეობა-მეყველეობისა, გურიაში—მეაბრეშუმეობისა და სხ. 2) ზოგადი განათლების სასწავლებლებში შრომის განვითარებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, ამისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ ზოგადი განათლების სკოლებში შემოღებულ იქმნას ხელგარჯილობა, ანუ ხელგარჯიშობა, რაიცა იმაში მდგომარეობს, რომ რასაც სკოლაში ასწავლიან, იმასვე უნდა აკეთებდნენ ბავშვები თავიანთი ხელით ქაღალდისა, კარტონისა, თიხისა და სხ. საშუალებით. 3) განახლებულ სკოლებისათვის საჭიროა შესაფერისად მომზადებული მასწავლებლები მშობლიურს ნიადაგზე. ამისათვის-კი საჭიროა დაარსებულ იქმნას სამასწავლებლო ინსტიტუტი და სემინარია. ასეთი სპეციალ სასწავლებლების დაარსება რაიმე მიზეზის გამო თუ ცალკე არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში ქართულ გამნაზიებში (თბილისსა და ქუთაისში) 4—5—6 კლასების შემდეგ დაარსდეს ორ წლიანი საპედაგოგიო კურსები, სადაც ზოგადი განათლების სკოლებისათვის მომზადდებიან მასწავლებლები. ბ-ნ ბოცვაძის წინადადება, რომ „განათლების“ საზოგადოების სემინარიაში ქალებთან ერთად ვაჟებმაც ისწავლონ, კრებამ არ შეიწყნარა იმ მოსაზრებით, რომ ამ სემინარიაში საკმაო რიცხვია ქალებისა და ვაჟებიც რომ მიიღონ, მაშინ მოსწავლე ქალების რიცხვი უნდა შემცირდესო. 4) შრომის სკოლისა და ხელგარჯიშობის სწავლების საფუძვლიანად გასაცნობად და ჩვენს სკოლებში ამ საქმის მოსაწყობად, საზღვარ გარედ უნდა გაიგზავნონ რამდენიმე დახელოვნებული მასწავლებელი.

დასასრულ, კრებამ მადლობა გამოუცხადა ბ-ნს ბოცვაძეს.

მომავალი კრება

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ 27 ამა თვეს დანიშნულია თბ. დრამატ. საზ. კრებაო.

ამას შეხვედრა უნდა.

მართალია, ამას წინად „სახალხო ფურცელმა“ აღგვიკრძალა, თბ. დრ. საზოგადოებაზე კრინტს ნუ დასძრავთო. მაგრამ რა კი დღეს-დღეობით ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი ამ დაწესებულების ამარაა, ამიტომაც გვერდს ვერ ავუხვევთ ხსენებულ ინსტიტუტის მოღვაწეობას და აწინდელ გამგეობის მუშაობის აღნიშვნასაც.

უწინარეს ყოვლისა ამ კრებას უნდა დაესწრნენ ყველანი, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი თეატრისათვის და გულწრფელადა სურს მისი აღორძინება.

უნდა დაესწრნენ, როგორც ძველი წევრები, აგრეთვე ისინიც, ვისაც ეხლა სურს წევრად ჩაეწეროს.

მართალია, წრევანდელ ზაფხულის კრებაზე გამოითქვა სურვილი, რომ ახალ წევრებს არ მისცემოდათ ხმა, მაგრამ ესეთი დადგენილება უსათუოდ უნდა გაუქმდეს თვით საქმის ინტერესისათვის. ერთი რომ, რამდენათაც მახსოვს, საზ. წესდებაში ამ გვარი არაფერია და მეორე თვით ამ საზოგადოების პრაქტიკაშიაც იყო იმის მაგალითი, რომ ახალ წევრებს ხმის უფლება მიენიჭათ და როგორც თათბირში, ეგრეთვე არჩევნებშიაც მონაწილეობა მიიღეს. ეხლაც ეგრევე უნდა მოხდეს, რადგან დრ. საზ. მომავალ გამგეობას ბევრად უფრო სერიოზული საქმის წარმოება მოელის, ვიდრე აქამდე ჰქონია და აუცილებლად საჭიროა ყველა მომავალი საკითხებიც და არჩევნებიც გაითვალისწინოს და ასწონ-დასწონოს დიდმა და ფართო შემადგენლობამ კრებისამ, სხვა და სხვა ელემენტთ მიერ შემდგარმა და არა რომელსამე პაწია ჯგუფმა საზოგადოებისამ. ამისათვის საჭიროა ფართო საზოგადოების ყოველი ნაწილი ამოძრავდეს, ყურადღება მიაქციოს ჩვენი თეატრის მომავალს და, სხვათა შორის, მომავალ კრებაზე დასწრებითაც შეასრულონ თავიანთი მოქალაქობრივი ვალი.

მე ეხლა არ ვიცი რადარა საკითხები აქვს აწინდელ გამგეობას კრების გასაბჭობად შეტანილი, მაგრამ რაც უნდა უფერული და შედარებით წვრილმანი საკითხებიც იყვეს, მაინც საჭიროა მათი გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის და უმთავრესად კი სამერმისოდ საქმეში ჩარევა.

მაგ. მე არ ვიცი განსვენებულ ექ. სარაჯიშვილის ანდერძის შესახებ აქვს თუ არა რაიმე მოხსენება აწინდელ გამგეობას დამზადებული და თუ აქვს, წარმოუდგენს თუ არა ამ კრებას, მაგრამ უთუოა, რომ საზ.-ს ეს ფრიად საჭირო საკითხი გასარჩევი შეექმნება და ამისათვისაც მიუცილებელია მეტი წევრების შეკრება, რომ კრებაზედაც ყოველ მხრივ გამოთქმულ იქმნას დატოვებულ მემკვიდრეობის მოხმარების წესი და ამ წესების შესამუშავებლათ არჩეულ იქმნას ღირსეული და მცოდნე პირები.

ჩვენ ხშირად დავცინით თავის თავს, რომ საზოგადოთ არჩევნები ჩვენი სტიქიააო, მაგრამ თუ ეს ასეა, დასაცინი აქ არა არის რა: სწორედ არჩევნებში უნდა ვიყვეთ ფრთხილნი და ამწონ-დამწონნი. დასაცინი ის არის, როდესაც რიგიანად ვერ ვხმარობთ ჩვენს უფლებას.

აწინდელი გამგეობა თბ. დრ. საზ.-სა კი აუცილებლათ უნდა გადაყენებულ იქმნას და აი რატომ:

„ცალ-ცალკე“ ეხლანდელი წევრები გამგეობისა შეიძლება ყოვლად მშვენიერებიც ბრძანდებოდნენ. ზოგს მათგანს საზოგადოებრივი დამსახურებაც მიუძღვის, ზოგი ნიჭიერი ახალგაზდაცაა და სხვა, მაგრამ „ყველა ერთად“ კი დიაღაც რომ უვარგისნი გამოდგნენ ამ საქმისთვის.

მათ გამოიჩინეს დაუდევრობა საზოგადო საქმეში.

მათს დროს მოხდა სამარცხვინო გაფლანგვა ფულებისა.

მათისვე დაუდევრობით, თამამად შეიძლება ითქვას, დაიწვა ქართული თეატრი.

ეს უბრალო ფრაზა არ არის. ამას აქვს თავისი საბუთები.

მათისვე უყურადღებობით და საქმის სხვათა შორის, კეთებით თეატრის დაწვიდან თბილისს აღარა აქვს ხეირიანი სეზონი.

ყოველივე ეს უნდა დამტკიცდეს და აიხსნას მომავალ საზოგადო კრებაზე.

უმრავლესობამ არ იცის ეს. ზოგიერთი წევრია საზოგადოების, რომ ეს ამბები ზღაპრად თუ გაუგონია. ყველა ამას არ უნდა მორიდება, პირდაპირ უნდა ითქვას, მოყვანილ იქმნას ამის მაგალითები და სამერმისოდ არჩეულ იქმნას მომქმედი და მცოდნე ადამიანები.

თორემ მომავალ მილიონის საქმეს და ქართულ თეატრის ბედ-იღბალს ვერ ჩავაბარებთ აწინდელ გამგეობას.

თვით გამგეობას კი უნდა მიეცეს ისეთი სახე, რომ არჩეულ იქმნას კომიტეტი, მაგრამ ერთი კაცი კი მათ შორის დანიშნულ იქმნას დირექტორ-გამგედ მომავალ სათეატრო საქმეებისა და ამისათვის დაენიშნოს მას შესაფერი გასამრჯელო, რომ ეს კაცი მთელს თავის დროს ანდომებდეს მხოლოდ თეატრის საქმეს.

ამ გვარად გეგმა უნდა მისცეს კომიტეტს კრებამ, კომიტეტმა კი დირექტორს თავისი დირექტივები და ამ კაცმა კი უნდა აწარმოვოს საქმე.

ესეთი გარემოება არ ახალია ჩვენშიაც. ჩვენს საზ.-საც ჰყავდა ესეთი კაცი, მაგრამ თუ პიროვნება ისეთი არ გამოდგა, აქ პრინციპი არაფერ შუაშია. პრინციპი კი რომ კარგია, ეს დამტკიცდა ევროპაში, რუსეთშიაც.

მაგრამ ამაზე ეხლა აქ აღარ გავაგრძელებ სიტყვას...

ღირსეული პირები კი უსათუოდ ჩვენც მოგვეძებნება და, უნდა ვიფიქროთ, უკეთუ თბილისის ქართველობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს საზოგადოების საქმეს, მომავალში გვეყოლება ენერგიული, მოქმედი და თავდადებული გამგეობა.

მახლობელი.

წერილი აზრუმიდან

მშვენიერი სანახავია ეხლა აზრუმი. შესტყობია რუსის შესვლა. კოხტა და კოპწია ქუჩები გაუყვანიათ და დროგამოშვებით კარგ ამინდებში კიდევაც რწყავენ. ქალაქი თანდათან აზიურ სახესა ჰკარგავს. ქუჩებში გაყვანილი არხები ნაგავსა სწმენდს და დიდად ასუფთავებს ქალაქს.

გახიზნული მცხოვრებნი ისევ ბრუნდებიან და ძველებურ შრომასა ჰკიდებენ ხელს. მატარებლის უნახავი ქალაქი ამასაც მოესწრო, რომ რკინის გზის ლიანდაგი გაყვანილ იქმნა სარაყამიშიდან აზრუმამდე. სადგური რკინის გზისა ქალაქ გარედ აზრუმის ჭიშკართან შენდება. ერთი სიტყვით, ქალაქს დიდი სიცოცხლე დასტყობია და ახალ აზრუმს მოგაგონებთ. შუაგულ ქალაქში, დიდი მთავრის ქუჩის გვერდით, მშვენიერი ბაღი გაუკეთებიათ, სხვა და სხვა ხეებით მორთული. ყოველ საღამოობით ამ ბაღში მუსიკა უკრავს. ბევრს შეხვდებით მოსეირნეთ, როგორც სამხედრო პირთ, ისე მოქალაქეთაც.

ხანდისხან წარმოდგენებსაც კი დგამენ.

მახლობელ სოფლებიდან ბლომად შემოდის სხვა და სხვა სანოვაგე, განსაკუთრებით კი მწვანილეულობა. თვით ქალაქში კი ვაჭრობა გაჩაღებულია. ეხლა ბევრს შეხვდებით სხვა და სხვა სავაჭროებს, ამ ხუთი თვის განმავლობაში გახსნილებს. ვაჭრობა-მრეწველობა ხელთ უგდიათ სომხებს დ თუ ვინმე სხვამ სავაჭრო გაალო, შურის თვალით უყურებენ. აქ რამოდენიმე სავაჭროები ქართველებსაც ჰქონდათ, ამის ნება კორპუსის უფროსს დაურთავს. ისინიც თავისუფლად ვაჭრობდენ, მაგრამ ეს შეშურდათ მეზობელ სომხებს და ბეზღება დაუწყეს და რამოდენიმე ქართველი კიდევაც აიძულეს ვაჭრობისათვის თავი დაენებებინათ.

არა ერთხელ შემოუჩივლიათ თავისი უმწეო მდგომარეობა აქაურს ქართველ მოვაჭრეებს, სომხების ოინების შესახებ. ერთ მშვენიერ ქუჩაზე დიდ სახლში სავაჭრო ჰქონდა გაღებული დავითაიას. შეშურებია ერთ სომეხს და იმდენი მოუხერხებია ქრთამით, რომ დავითაია აქედან აუბარგავს დ ამ სახლში თვითონ მოკალათებულა.

ქალაქში ბევრს შეხვდებით გაზეთების დამტარებლებს. ჰყიდიან სომხურ და რუსულ გაზეთებს, ხოლო ვერც ერთს ქართულ გაზეთს ვერ იშოვით. სასურველია ქართული პრესა თავისს აგენტებს გაიჩენდეს და ქართულ გაზეთებს მიაწვდიდეს აქ ბლომად მოსულ ქართველობას.

ალექსანდრე ვ. გორგაძე.

სოფლად

II.

კახეთი.

24. თელავის მდებარეობა. სადგურ გურჯაანს გასცდებით თუ არა, სურათი იცვლება, ალაზნის ველის სილამაზე უმაღლეს წერტილს აღწევს. უკეკლუცეს გაზაფხულის აყვავებულ ველ-მინდორს შეიძლება შევადაროთ ახაშნის-მუკუზან-წინანდალის ადგილები.

და ვიმეორებ, თელავის მაზრა—ეს უკეკლუცესი კუთხე—ზურმუხტის თვალია საქართველოსი.

თელავის სადგურიდან 2—3 ვერსით მდებარეობს მაღლობ ადგილს კახთა მეფეების რეზიდენცია, ქ. თელავი.

ლამაზი ადგილებია, ალაზნის ველს გადასცქერის და ჯერ კიდევ აქა-იქ ძველი იერი ქართული ქალაქისა შერჩენია.

თელავი შესანიშნავია თავისის წყაროებით. მათ შორის „ბატონის“ წყარო, ესე იგი, მეფე ერეკლეს წყარო, რამდენისამე მილით გადმოჩახჩახებს.

—

ქალაქის თვით-მართველობა სომხების ხელშია, ვაჭრობაც ჯერაობით ისევ მათ ეკუთვნის, მაგრამ შემნახველ-გამსესხებლის და მომხმარებლის ამხანაგობების წყალობით ვაჭრობა ქართველების ხელში გადადის.

თელავს გვერდზედ [illegible] კურდღელაური, სადაც 506 კომლი ქართველი მოსახლეობს.

სოფელმა კურდღელაურმა ბევრჯელ ითხოვა, რომ ქ. თელავზედ მიწერილიყო, ამაზედ მაზრის უფროსმაც იშუამდგომლა თელავის ქალაქის გამგეობასთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

სოფ. კურდღელაური და ქ. თელავი ისეა შეკავშირებული, რომ ერთი სახლის ეზო თელავშია, სახლი კი კურდღელაურშია, ან არა და ნახევარ სახლი თელავშია და ნახევარი—კურდღელაურშია. სრულებით არ გაირჩევა კურდღელაური თელავისაგან, ისე გაერთიანებულა. მაგრამ სომხების ქალაქის მმართველობა იმდენად ჯიუტია, რომ ამ ბუნებრივ შეერთებას არავითარ ანგარიშს უწევს.

ან რათ უნდა ერიდებოდნენ სომხები კურდღელაურის შემოერთებას? თელავში მცხოვრებნი ითვლება 9478 სული, ამათში ერთი მესამედი ქართველებია, სხვა ეროვნებაც 130 სული ითვლება. კურდღელაურის მცხოვრებნი კი 2496 სულია; მაინცა და მაინც თუ მივიღებთ მხედველობაში სომხების რიცხვს—6348 სულს, ქართველებისას—5496 სულს და სხვა ეროვნებისაც—130 სულსა, მაშინ არც ისეთ სახიფათოს რასმე წარმოადგენს სომხებისათვის სოფ. კურდღელაურის შემოერთება ქ. თელავთან. მით უფრო, ქალაქის ინტერესები დაცული იქნება, რადგან ორივე ერი ჩაებმის თელავის განვითარებაში.

დღეს კი სულ სხვას ვხედავთ, თელავის ცხოვრების მაჯის ცემა შეჩერებულია, არავითარი განვითარება არ ეტყობა და ეს იმიტომ, რომ ქალაქის არჩევნებში ქართველიც არ გაიყვანეს სომხებმა, მიუხედავათ იმისა, რომ ამის გამო ქართველმა საზოგადოებამ თელავის მმართველობას ბოიკოტი გამოუცხადა, მხოლოდ ერთი ქართველი თ-დ ლ. ვ. ასრულებს ქალაქის თავის თანაშემწის, თათუზოვის, დროებითს თანამდებობას.

—

თელავში ექვსი ეკლესია არსებობს, სამი ქართველებისა არის და სამიც სომხებისა. ამათში ქართველების ეკლესია გორიჯვრისა მიუთვისებიათ სომხებს.

ქალაქის მმართველობამ ნება არ მისცა თელავის ქართველებს, რომ სასაფლაოსათვის ქვიტკირის შემოვლება დაესრულებინათ,—ეს ადგილი ქალაქის საკუთრება არისო.

ქართველებმა უპასუხეს, თუ კი სომხებს დაუთმეთ სასაფლაოსათვის ადგილი, რატომ ჩვენ ნება არ უნდა გვქონდეს სასაფლაოსთვის ადგილი შევლობოთო.

სხვათა შორის ამ სასაფლაოზედ განისვენებენ ჩვენი მწერლები იოსებ დავითაშვილი და ბარბარე ჯორჯაძისა.

ერთ ძეგლზედ ერთ მხარეს აწერია: „ბარბარე დავითის ასული ჯორჯაძისა

ფეხი იბრუნა

(მოთხრობა) *)

ესე ღა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

17.

მამამთილის წასვლის შემდეგ ქალმა ერთი კიდევ გადაავლო თვალი ყველაფერს და გავიდა აივანზედ. გადიხედა ძირს, მიიხედ მოიხედა. ვერაფერზედ შედგა მისი თვალი, ვერაფერზედ დაისვენა. ქვითკირის სახლები ზეცამდის აწეული, თუნუქის სახურავები, მერცხლის ბუდეებივით გადმოკიდებული რკინის აივნები, ძირს ქვაფენილი. ყველგან ქვა და რკინა! არსაით მწვანე, არსად ყვავილი. მიდმოდიოდა ხალხი, მიეშურებოდა.

— როგორი ჩქარის ნაბიჯით დადის ეს ქალაქის ხალხი, თითქმის გარბის. ალბათ იმისთვის, რომ დიდი მანძილებია გასავლელი და სამუშაოც საათობითა აქვსთ გამოთვლილი,—გაიფიქრა ქალმა.

გამვლელ-გამომვლელნი სალამს არ აძლევდნენ ერთმანეთს, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ: ალბათ სრულებით არ იცნობდენ ურთიერთს. არც ეცალათ შეენიშნათ ვინმე და შემდგარიყვნენ: ქალაქის გაწვალებული ცხოვრება აჩქარებდა მათ საშოვრისაკენ. შუა გაზაფხული იყო, ქუჩას კი ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც თუნდ იანვარი. მხოლოდ ცხელოდა და მტვერს ემატნა. ჰაერს სრულებით არ ეტყობოდა გაზაფხულის სუნნელება, უფროც შემძიმებული საყნოსელად. მიიდგა ქალმა სკამი აივანის კუთხეში და ჩაფიქრდა. ოცნებამ გაიტაცა ის თავის მამის სახლში.

მინდორივით გადაშლილი ჩვენი ეზო ეხლა ამწვანებულ-აფერადებულია ხასხასი ბალახით და ტურფა ყვავილებით. კარმიდამო აჟღაჟღინებულია მრავალი ფრინველით, შინაური თუ გარეულით. ათასი ჩიტუნა ეტანება ქათმის საკენკს. რა მშვენივრადა გრილა ეხლა იქ! დილით ადგომა სოფლად სიცოცხლესა ჰმატებს ადამიანს, თვით სიცოცხლეა იგი. იქ ადრე ამდგომსა ყმაწვილსა ღმერთი უმზადებს სადილსა. და განა მარტო ყმაწვილს?! ადრე წამოდგომა, მზეს რომ აასწრო, საჭიროც არის იქ, აუცილებელი. ახ, ნეტა ეხლა ხელ-პირი დამაბანინა ჩვენ წყაროზედ, რაკრაკით რომ გადმოდის ანკარა; ხელი ვერ უძლებს, იყინება.

— მოაგონდა ქალს თავის პატარობა, როდესაც მისმა მამამ შეკრიბა ტინიდან გადმონადენი ცვარები, მიაგნო წყლის სხვა სადენსაც და წყარო გამოიყვანა მამულში. ძვირფასად აყვავა იქაურობა იმ მაცოცხლებელმა ნაკადმა, გაახარა მცენარეც, ადამიანიც, ფრინველი თუ ოთხფეხიც; დაამშვენა ყოველივე.

— როგორ შეიძლება დილის ძილი გაჭამო მეოჯახემ სოფლად?! სისხამ დილითვე უნდა შეუდგე გასაკეთებელს, თორემ აგიტირდება ფრინველიც, ცხოველიც; დაგექსაქსება ყველაფერი, აგერევა და მთელი დღე უკულმა დატრიალდება ყოველივე საწადმართო. კრუხ-წიწილას უნდა მიხედო, ბატ-ინდოურს. ეხლა ვეებერთელა ჭუკები ეყოლებათ ინდაურებსაც, ბატისა თუ იხვის ჭუკი ალბათ დედებისაგან აღარც კი ირჩევიან. ძროხების დაწველასაც უნდა უგდო ყური, რომ არ იხმარონ გაურეცხავი ჭურჭელი ან უწმიდური ხელი. მეც მივეშველებოდი ხოლმე წველაში. ძალიან მიყვარს ახლად მოწველილი რძე, ჯერ ისევ ქაფქაფი. შინ ჩემ ს მეტს არავის უყვარდა ის. ახლა საქონელს უნდა ნახირში გარეკა, თუ მენახირეს ფეხზედ არ დაუხვდი, საქონი არ ჩააბარე, ეწყინება: იმასაც თავისი წესი აქვს და ადათი. ცხენებიც საძოვარზედ უნდა გაიყვანონ. უნდა დაიწმინდოს და დაწყნარდეს ეზო-ყურე. მარტო ვაჟკაცი ვერას გახდება, დედაკაციც უნდა ეშველებოდეს. ყველაფერი პატრონს შეჰყურებს იქ და ღალატი არ შეიძლება, თავის მორიდება; მათი ღალატი შენისავე თავის ზარალი იქნება: იქ ყოველივე შენი მეგობარია, კეთილისმყოფელი, საცხოვარი. როგორ მიყვარდა ყოველივე! იმათაც ვუყვარდი, ჩემს ფეხის ხმასაც კი იცნობდნენ, დამედევნებოდნენ, ყველანიც დამივიწყებდნენ... აღარ ვყევარ იქ. დამივიწყებდნენ! გაიფიქრა ქალმა

და მის გონების თვალს წარმოუდგა მეზობლის ეზოც, მახარეანთ კარმიდამო.

— როგორი დარცხვენილი გამოვიდოდა მახარე, თუ ჩვენ ავასწრობდით, მე და მისი და სალომე! კარგი ვაჟკაცია, მხნე და ჰაზრიანი. აფსუს რომ სწავლა არა აქვს მიღებული! გაუზედავი კი არის, ბუნებით მორცხვი. ვგონებ, ძალიან ვუყვარდი ბეჩავს. რომ შემხვდებოდა, ღიმილს ვეღარ შეიკავებდა, თვალები უბრწყინდებოდა. ენა კი ებმებოდა ჩემთან, ორ სიტყვას ვერ მეტყოდა ზედიზედ. არც საკვირველია, რომ ვუყვარდი: თითქმის ერთად ვიზრდებოდით. სათამაშოებს ის გამამითლიდა ხოლმე, ტიკინებს თუ მათ ავეჯს; სულ რაღაცა სამი-ოთხი წლით არის ჩემზედ დიდი. აი მახარეს უნდა გავყოლოდი, რომ ბედნიერება ეგრძნო, თორემ ლადიკოსათვის სულ ერთია: ალბათ ბევრი ჩემისთანა უნახავს და დაუვიწყნია გულგაყინულს. კიდეც ემძიმება ამას ცოლ-შვილიანობა... ერთხელ სალომემ გადმომცა მახარეს სიტყვები: ისე ხალისიანადა ვმუშაობ, როცა ფეფიკო ახლო-მახლო მეგულება, თითქო ჩემი სულის ჩამდგმელი ის იყოსო. დაღონდებოდა ბეჩავი, ჩემი გათხოვება გულს ატკენდა. ჩვენები არაფერსა მწერენ მეზობლებზედ: ალბად ჰგონიათ, რომ ბედნიერი ვარ და ბედში მყოფს ისინი ყველანი დამავიწყდნენ,—გაიფიქრა ქალმა

და ნამი იგრძნო თვალებზედ, წამწამზედ გადმომდგარი ცრემლის წვეთები. მსწრაფლ შეიმშრალა თვალები. ეწყინა კიდეც, რომ წარსულ ცხოვრების მოგონებამ ესე სამძიმო გუნებაზედ დააყენა უკვე ქალბატონი ქალი. მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ შენიშნა ჩემი შეუფერებელი სისუსტეო.

— აგერ წავალ საზაფხულოდ უცხო ქვეყანაში და ბუნებასაც უმშვენიერესსა ვნახავ, ცხოვრებასაც უკეთესს განვიცდი, ნამდვილ განათლებულ ხალხსაც გავიცნობ ბრწყინვალეს. თბილ წყლებზედ უნდა წავიდეთ,—ამბობს დედამთილი.

უნდოდა ეთქვა „დედა“, მაგრამ გონებაშიაც კი ვერ მოახერხა ამ სიტყვის ხმარება: ეს ცნება ვერ ეთვისებოდა პეტრეს მეუღლეს, არც არაფერში ჰგვანდა ის ფეფიკოსათვის დედას; დედინაცვლობის გაწევა კი შეეძლო მას და ადვილადაც. დედას ვერ ეძახდა რძალი მას, დედამთილობით მოხსენებაც სწყინდა ქალბატონს; უფრო ის მოსწონდა, როცა სახელითა და მამის სახელით მიჰმართავდა მას ფეფიკო. გრძნობდა ქალი, რომ დიასახლისას იმის საწინააღმდეგოც არა ექნებოდა რა, თუ ქალბატონობით მოიხსენებდა მას იგი.

ფიქრებში გართული ფეფიკო ზანზალაკის ძლიერმა წკრიალმა გამოარკვია: გაეღვიძნა ქალბატონს და თვის სენაკპანს უძახდა, მოახლე გოგოს. უკვე მეთორმეტე საათი იყო, დროს სწრაფად გაერბინა. შევიდა ქალიც ოთახში. ცუდ ფეხზედ ამდგარიყო, სტუქსავდა მოახლეს, ზარმაცობასა სწამებდა, უწესობას; მკახე ხმით გაიძახოდა; სიფიცხისაგან სახე დაღრეჯოდა, შემხმარ ლოყებზედ სიწითლე კვერკვერად ამოსჯდომოდა. მსახური თავსა მართლულობდა, სულ აქ დავტრიალებ და ვმუშაობო. ფეფიკომ დაადასტურა მოახლის სიტყვა. დედამთილმა ბოროტად გაუელვა რძალს ამ თქმაზედ, ხმა კი არ გასცა. ფეფიკოს მაინც და მაინც ძალიან არ გაჰკვირვებია ესეთი დაწყება დღისა: იგი უკვე შეჩვეული იყო ამგვარ დილებს. ხომ ყველაფერს ეჩვევა ადამიანი, უაზრო ბოროტებასაც.

— ქალო, შენი ქმარი ხომ წავიდა დღეს სამსახურში?

— გიახლათ! კარგა ადრე წავიდა, ჯერ ცხრა საათიც არ იყო.

— გადაჭარბებულ თავისუფლებას არის ნაჩვევი ჩემი ვაჟი: პირმშოა ჩვენი და აზიზადა ვზრდიდით. ეხლა შენი ვალია ყურადღება მიაქციო მაგას და ოჯახის კარგი პატრონი დააყენო. შენს მამამთილს რომ ეხლა დიდებული ადგილი უჭირავს, ეს მთლად ჩემი უნარია და მეცადინეობა. ვაჟკაცმა მალე იცის ბოლოს დაშვება, თუ ფხიზლად არვინ მისდევს მას გვერდით. გახსომდეს ეს! ლადიკომ კი სწორედ ერთგულად უნდა იშრომოს ეხლა. აუცილებელია ეს: უკვე ცოლ-შვილის პატრონი კაცია და ცხოვრების უნარი უნდა მოიპოვოს, საკუთარ მოსახლეობას შეუდგეს; ყოველთვის ხომ დედმამის საფარველ ქვეშ არ იქნება და მის ულუფაზედ,—ბრძანა დიასახლისამ

და ნაზად აიღო ფინჯანი. ჩაის შეექცეოდა და თან მუსაიფობდა. ფეფიკომ პასუხი ვერ გასცა ამაზედ. ან რა უნდა ეთქვა? პირველი არ იყო დედამთილისაგან ესეთი თქმა თუ ყვედრება; გაეხშირებინა მას რძალთან ესეთი სიტყვა, ცხადად აგრძნობინებდა მას, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ახალი ცოლ-ქმარი საკუთარ ბინას გაიჩენდა და თავისით ცხოვრებას შეუდგებოდა, დამოუკიდებელ ყოფას.

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „საქართ.“ № 253.

1833—1895“. და მეორე გვერდზე — „იოსებ სვიმონის ძე დავითაშვილი 1850 – 1887“.

ბ-ნს გიორგი ბურჭულაძეს ვეკითხები, რომელთანაც ჩამოვხტი და მთელი თელავი დამატარა და გამაცნო, —რას ნიშნავს ეს, რატომ ერთი ძეგლი ადგიათ-მეთქი?

— ეს ადგილი ბარბარე ჯორჯაძის სასაფლაოა, როდესაც მას ასაფლავებდნენ, დავითაშვილის გვერდზედ უნდა დაესაფლავებინათ, მაგრამ მისი სასაფლაო ვერ იპოვნეს და ამის გამო ბარბარე ჯორჯაძის ძეგლს იოსებ დავითაშვილის წარწერაც გაუკეთესო, ამიხსნა გიორგი ბურჭულაძემ.

სწორედ გასაოცარია ქართველების ასეთი უპატივცემულობა მიცვალებულისა და მით უფრო დამსახურებული საზოგადო პირისადმი...

1887 წ. იოსებ დავითაშვილი დასაფლავებულ იქმნა თელავის ქართველების სასაფლაოზედ და დღეს მისი სასაფლაო ქართველ საზოგადოებას ვერც კი უპოვნია! ვაი, სირცხვილო!.

ან რა მოსაფიქრებელი იყო, ბარბარე ჯორჯაძის ძეგლისათვის მეორე მხარეზე იოსებ დავითაშვილის დაბადება-გარდაცვალების თარიღი წაეწერათ?

ეს ყოვლად შეუწყნარებელია!

ჩვენ არ გვეპატიება იმ ლექსის დამწერის სასაფლაოს დაკარგვა, რომელსაც ჩვენი მოზარდი თაობა ხალისით იზეპირებს ხოლმე ყოველ წლივ:

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო;
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო“!.

—

„ნადიკვარი“ თანდათან სახლებით ივსება, ეს ადგილი ძველ დროს ქართველებისათვის გასართობი ყოფილა, ალაზნის ველის სამზერლად. თ-დ ვ—ს ეკუთვნოდა ეს ადგილი, ეხლა კი სხვის ხელში გადადის, მასთანავე თ-დ ვ—ს ვენახები ყულიჯანოვმა ჩაიგდო და ვენახებს მომვლელად ისევ ვენახის პატრონივე ჰყავს.

თ-დ ვ—ს კარებ წინ საგვარეულო ეკლესია შუაგულ თელავში საქათმედ გადაუქცევიათ!

ცოდო არ არის ასე განიავება მამულისა და გავერანება ეკლესიებისა?!

ესენი კი ხალხის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას უნდა დაჰპატრონებოდნენ!

„კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვებს ბუზებს უგერებდაო“, —სწორედ ამაზეა ნათქვამი.

—

მეფე ერეკლეს ციხე-დარბაზს ვეახელი. გარს შემოზღუდულია მაღალ ქვიტკირის გალავნით, ოთხ-კუთხიანი მოხაზულობა აქვს, კარგა დიდი ფართო ადგილი უკავია და ალაზნის ველს გადასცქერის; ყოველ კუთხეს ბურჯები აქვს მიდგმული.

ერთი ამ ბურჯთაგანი დასავლეთის მხარესაა, სადაც თელავის ბულვარია, სომხებს მიუთვისებიათ და ზედ თავიანთი ეკლესიის სამრეკლო აუშენებიათ.

ამ შემოზღუდულ ქვიტკირის გალავანში ორი შესავალი ალაყაფის კარები შედის—ერთი აღმოსავლეთის მხრიდან და მეორეც დასავლეთიდან,—სადაც ალაყაფის კარებებია, იქ განსაკუთრებით სპარსული სტილის თაღებია შეკრული და უწინდელ დროს რკინის კარებები ჰქონია შებმული.

შევედი გალავანში, იქ, სადაც სამეფო სასახლეა, ეხლა წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელია მოთავსებული, შუაგულსაა აშენებული, ერთ-სართულიანი შენობა არის, გარშემორტყმულია აწვანებული მოკრალებული ხეებით დაფარული ეზოთი.

ნიადაგიდან 2—3 არშინის სიმაღლეზე იწყება სადგომი ოთახები. ამ შენობაში უმთავრესია დიდი საბჭოს დარბაზი, სადაც საქართველოს სახელმწიფო საქმეებზედ ბჭობდნენ, გადაყვანილია ქერი თაღებით და კედლებში დატანებულია მაღალი ვიწრო ვენეციურის გემოვნებით სარკმლები.

საბჭოს დარბაზის ყოველ კუთხესთან კვადრატული ოთახებია მიდგმული და ესენიც თაღებით შეკრულია. ეს ოთახები ირგვლივ აივნებით ყოფილა შეერთებული, მხოლოდ მისავალიდან შუშაბანდით არის გაერთიანებული, საბჭოს დარბაზსა და შუშაბანდს შუა გრძელი ტალანია ჩაყოლებული და ყოველ ოთახს მაღალი ვიწრო ვენეციური სარკმლები აქვს დატანებული.

საბჭოს დარბაზს (ეხლა კი სასწავლებლის საქტო ზალას წარმოადგენს) რუსეთის მეფეების სურათები ამშვენებენ.

მეფე ერეკლეს მოსასვენებელ ოთახში, სადაც სული განუტევა, შევედით. აღმოსავლეთისკენ სარკმლების შუა კედელში ახლად გაუკეთებიათ მარმარილოს ფიცარი და მისი გარდაცვალების თარიღია წარწერილი, მასთანვე მისი სურათია ჩამოკიდული და მის წინ კანკელში გაუქრობელი ზეთი ანთია.

სამხრეთისაკენ კედელში, როგორც სჩანს, ბუხარი ყოფილა, ამოუვსიათ, როგორც ეს ოთახი და მთელი შენობაც, კირით თეთრად შეულესავთ და, რაც საისტორიო მნიშვნელობა ჰქონია ამ კედლებს, ამ თეთრი შელესვით წარუხოციათ.

გარედ გავედით, სამეფო კარის ეკლესია აქვე გვერდზედ სდგას, მისი სამრეკლო კი გალავნის კუთხის ბურჯზედ მოუთავსებიათ და მთელ ალაზნის ველს გადაჰყურებს, ერთგვარ საზვერელადაც ყოფილა ეს სამრეკლო.

სამრეკლოზე ავედით და გადავხედეთ ალაზნის ველს. დიდებული სურათია! რაღაც დინჯი, უძრავი, ბუმბერაზი, მოლურჯო ფერის ჰაერი ალაზნის ველს დასწოლია, თითქოს თავისი სიმძიმით ბუნების მოძრაობა შეჩერებულა.

აქედან პირველად შევნიშნე ალავერდის მონასტერი, რომელიც თეთრად შუაგულ დაბურულ ტყეში აღმართულა, ალაზნის ველზედ ტყეს ასცილებია და დინჯად, მდუმარედ დასცქერის.

ალავერდიდან თვალს აყოლებ ალაზნის გაღმა მდებარე ლურჯ ბურუსიან ჰაერში გახვეულ მთელ რიგ სოფლებს და ამ თვალის გაყოლებით უახლოვდები წინანდალს, კურდღელაურს, ვარდის-უბანს, რუისპირს, ოქიოს, ხორხელს, და თვალი ისევ თეთრად აღმართულ ალავერდის მონასტერს აჩერდება.

—

ისტორიული ჭანდარი, რომელიც იქავე კურდღელაურის გზაზედ მძლავრად აღმართულა, შესანიშნავია თვისის ხნოვანობით,—ხუთასის წლისა იქმნებაო. გავზომეთ თოკით გარშემო მისი შუაგული ძირი და 13 არშინი გამოვიდა, თითო მისი ტოტი უშველებელ ანძის ხეს წარმოადგენს, ხე სრულიად საღია და კიდევ ერთ ამდენს გაუძლებს.

ამ ჭანდრის ქვეშ ეხლა საქეიფო ადგილია, ალბათ იმიტომ, რომ ძველ დროშიაც ამ ჭანდრის ძირში მეფეებსაც უნებებიათ სიამოვნება, დროს გატარება.

თვით მგოსანი ბესიკიც, როგორც აქაურები მოგვითხრობენ, თავისის თარით, თვისს უიმედოს სატრფოს, მეფე ერეკლეს დას ანნა (ანუკა) ბატონიშვილს ლექსებს—

„შავნი შაშვნი შავ გალიას შემსხდარნი,
სუფთად მხმობნი, ხმა-ყარიბად მსტვინავნი,
მრჩობლად მხედნი, მით ერთითა პირითა,
მათებურად სალ-გულთ ამატკინავნი“...

უმღეროდაო.

როდესაც მეფე ერეკლეს გაუგია მათი ურთიერთის სიყვარული, განრისხებულა და ანნა ბატონიშვილი მოლოზნად შესულა. შავ მანდილით შემობურვილი, შავი თვალებით გამომზირალი ბესიკს შეხვედრია და, აი, ამაზედ გამოუთქვამს „შავნი შაშვნი შავ გალიას შემსხდარნი“, ესე იგი, შავი თვალები შავ მანდილში შემსხდარნიო.

ამისთანა ისტორიული ხეები ბევრი მოიპოვება ჩვენს საქართველოში, ბევრმა არც კი ვიცით მისი მნიშვნელობა. ტაძრებს და ჩვენს სალოცავებს რომ არაფრათ ვაგდებთ, რა გასაკვირველია, რომ ამისთანა ისტორიული ხეებიც შეშისათვის გადავაბრუნოთ, ხომ ისევ ძირში ამოიხეთქავს...

იმის არ იყოს, ძალიანში **ისტორიული კაკალი**, რომელზედაც ერთ ნაჭუჭში ნიგოზი და თხილი მტრედის მგზავსად გამოკრული იყო, დაჰკრეს ცული უციცმა ხელებმა და დღესაც მისი ძირიც მიწასთან გასწორებულია.

Legatus.

ქ. დორპატის სათვისტომო

კვირას, ღვინობისთვის 23 მოხდა ქ. დორპატის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მეორე საზოგადო კრება, რომლის დღიურ წეს-რიგს შეადგენდა კითხვები: 1) ახალი წევრების არჩევა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) გამგეობის არჩევა და 4) სათვისტომოსთან დაარსება სპეციალური თანხისა, რომელიც უღარიბეს სტუდენტებს გრძელ ვადიან სესხად გაეცემა.

ახალი წევრების მიღების შემდეგ, წინა კრებისაგან არჩეულმა სარევიზიო კომისიამ სათვისტომოს ცხოვრების წარსული წლის მოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენება წარმოადგინა. ამ მოხსენებიდან სჩანდა, რომ სათვისტომოს სალაროს წასულ წელში შემოსვლია 529 მან. და 82 კ. გასავალი კი 316 მ. და 88 კ. ჰქონია ასე რომ დღეს სათვისტომოს სალაროში ნაღდ ფულად არის 212მ. და 95კ. ამ თანხაში არ შედის ის ფული, რომელიც ამ წელს სხვა და სხვა სახით შემოსულა. საერთო მდგომარეობის შესახებ კი სარევიზიო კომისიამ, გამგეობის მოქმედების ზოგიერთი ნაკლის გარდა აღნიშნა, რომ სათვისტომოს არსებობა და საქმეები კარგ მდგომარეობაში იმყოფება. ეს მოხსენება საერთო კრებამ მიიღო. შემდეგ აირჩიეს გამგეობა: პლ. კვარკელია—თავმჯდომარედ (დიდი უმრავლესობით); მიხ. ხერხეულიძე—მდივნად (ერთხმად); არ. ამირეჯიბი და ვ. ცომაია—თავმჯდომარის ამხანაგებად ((დიდის უმრავლესობით); კოლ. გრიგოლია—მოლარედ და ვლ. თოხაძე—ბიბლიოთეკის გამგედ (დიდის უმრავლესობით). მწვავე ლაპარაკი გამოიწვია საკითხმა, შესახებ სპეციალურ კასის დაარსებისა. ამ საკითხის მომხრენი ამბობდნენ: ამ თანხის გასაძლიერებლად უნდა მივმართოთ სხვა და სხვა დაწესებულებებს, სამსახურში მყოფ ამხანაგებს და შეძლებულ პირთ და ფული გრძელვადიან სესხად მივსცეთ უღარიბეს ამხანაგებსაო. მეორე მხარე კი გამოსთქვამდა შემდეგს აზრს: ჯერ ერთი, რომ სათვისტომოს წესდებაში არის მუხლი, რომელიც გრძელვადიან სესხის გაცემის უფლებას გვაძლევს, საჭიროა მხოლოდ სესხის ვადის განუსაზღვრელობა დავაწესოთო; და მეორეც, სათვისტომოს არსებობა სწორედ ასეთ გვარ, როგორც პირველნი ამბობთ, შემოწირულებებით იჭერს თავსო. სპეციალურად იმ თანხისათვის თხოვნა სათვისტომოს ძირის გამოთხრას ნიშნავსო. ასეთი მდგომარეობა კი ჩვენი დაქვეითება იქნებაო. და რომ საშუალება ვპოვოთ, გავიყვანოთ ასეთი წინადადება: „ღარიბ მოსწავლეთათვის უსაზღვრო ვადიანი სესხის მისაცემად სათვისტომოს სალაროდან გადაიდოს 30 პროც. და ასე ყოველთვის. მოვალეებმა კი პირველ შეძლების დროს უნდა გადაიხადონო“. ეს წინადადება ძალიან დიდის უმრავლესობით გავიდა სალაროს გასამდიდრებლად, და ამით იმ საპროცენტო თანხის გასადიდებლადაც, კრებამ დაადგინა: 1) გარდა საწევრო გადასახადისა, ყველა წევრმა ყოველთვიურად თავისი შეძლებისა და სურვილის მიხედვით სათვისტომოში რამდენიმე პროცენტი უნდა შეიტანოს და 2) ეთხოვოს სათანადო საზოგადოებებსა და პირებს სურვილისამებრ დახმარების ხელი გამოგვიწოდონ.

ამით დასრულდა კრება, რომელსაც ყველა წევრი მეტის სიფხიზლით ეკიდებოდა. ყოველივე ეს ნაბიჯი მართლაც სიმპატიურია და თუ შესაფერისი მსვლელობა მიიღო, ღარიბ სტუდენტებს მალამოდ მოევლინება.

მიხ. კიაზოშვილი.

დაბა-სოფლები

ს. მატანი (თიანეთის მაზრა). ჩვენ მხარეში ქისტებმა სულ თავი აიშვეს: ქურდობენ, ძარცვავენ, ყაჩაღობენ. ავაზაკები მთიდან ბარში ჩამოვიდნენ და კახეთის სოფლებსაც ესტუმრნენ. აქამდე საქონელს და ცხენებს მარტო ქურდულად იპარავდნენ, ეხლა კი აშკარად თავს ესხმიან და საქონელი, არა ქურდულად, არამედ პირდაპირ ყაჩაღურად მიუდით. აი მაგალითიც: 2 ღვინობისთვეს ღამით სოფ მატანს დაეცა ოცდა ათი შეიარაღებული ქისტი და 16 სული საქონელი მოიტაცა. ეს ამბავი ელვასავით მოედო სოფელს, მთელი სოფელი შეჩოჩქოლდა, მაგრამ რა გამოვიდა, ვინაა სოფელში, რომ ყაჩაღებს გამოსდგომოდა! ესეც არ იყოს, სოფელში გახვრეტილი უბრალო რკინაც კი არავისა აქვს, არამც თუ სახმარი იარაღი. ქისტებმა არხეინად აატარეს ეს საქონელი პანკისის ხეობაზედ და პირ-იქით გროზნის ოლქში გადარეკეს. 3 ღვინობისთვეს შვიდმა შეიარაღებულმა ქისტმა ხევ-გძელაზედ გაცარცვა ს. თოლენჯიდგან გიორგი ბეჟანიშვილი, კუპრიანთ-კარიდგან—მიტრო სამხარაული და საყდრიონიდან—ლექსო გუშარაშვილი, წაართვა მათ სამი ცხენი თავის ბარგი-ბარხანით, საშინლად დაუწიოკა ცემა-ტყეპით და ბავშვები და მერე ისე გაისტუმრა ერწოსკენ.

4 ღვინობისთვეს მოვ და ს. ახმეტაში ბოქაულთან პირ-იქით თუშეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილი კაცი და მოიტანა ამბავი, რომ ამ დღეებში სოფ. ქონთიოს დაეცა სამას-ოთხასი შეიარაღებული ქისტი და მთელი სოფლის საქონელი, სამას სულზედ მეტი, მთლად გარეკეს და ისედაც გაჭირვებულ ხალხს უკანასკნელი ცხოვრების ლუკმა გამოაცალესო. აბა ვინ გაუმკლავდებოდა სამას-ოთხას ყაჩაღს, როდესაც მამაკაცები ყველანი საომრად არიან წასულნი და შინ მხოლოდ დედაკაცები და ბალღები-ღა არიანო.

ამ ავაზაკობას სჩადიოდნენ და სჩადიან გროზნის ოლქის ქისტები, თიანეთის მაზრის პანკისელ ქისტების შემწეობით, და არ იქნა, ამნაირ ავაზაკობას ბოლო არ მოეღო. ღრმად მოხუცებულნი ამბობენ, რომ ამნაირ ყაჩაღობა-ძარცვა-გლეჯის შემსწრენი არა ვართ, შამილის დროსაც კი ამნაირი ამბები არ იყოვო.

საჭიროა სასტიკი და სწრაფი ღონე იღონონ ავაზაკთა წინაამდეგ, თორემ მათი თარეში თანდათან ვრცელდება და სახიფათო ხასიათსა ხდება. კარგი იქნებოდა, კამანდა შესდგებოდეს ადგილობრივ წითელ და ლურჯ ბილეთიანებისაგან ავაზაკებთან საბრძოლველად.

არხოტიონი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4, 8	„ 58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, 6	„ 24	„ საღ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **ხუხუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეღვინის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე.

—300—

ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

ვურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დაბალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასთენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტვნას და წელის ტკივილს სპობს.

— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე.

— **მოლეციტინი** ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრედვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავბრუ ხვევას, ოფლიანობას, უძილობას.

— **მოლეციტინი** ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

თითო კოლოფის ფასი 3 მან. სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5 დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ბეს მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან.** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 საპ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

ახალი უებარი საშუალება და ახალი გამოგონება

საგანგებოთ **ქალთა** წამლობა. ვისაც თეთრანა (სუსუნატი) და ნორმალური რიგი აქვს ქავილითა, ვურჩევთ იყიდონ შესაშხაპუნებლათ ადვილათ გასახსნელი კვერები „**ალბინი**“ და აბები „**ურობინი**“ (სუსუნატის წინააღმდეგ) პროფესორის დოკტორის **აროკეონისა.** კვერები „ალბინი“ მარგებელია ტ შესაშხაპუნებლათ შეუძლიათ იხმარონ აგრეთვე კარგათ მყოფ ქალებმაც. დღეში ორჯერ, სქესობრივ კავშირის შემდეგ, რომ არ შეიყარონ რაიმე ვენერიული ავათმყოფობა. ეს წამალი ნებადართულია **საექიმო საბჭოსაგან.** ფასი კვერებისა 3 მანეთია, აბებისა აგრეთვე 3 მან., რომ სუსუნატისაგან განიკურნოთ, საჭიროა 6 კოლოფი „ალბინისა“ და 4 კოლოფი „ურობინისა“. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც, მხოლოთ ზედ უნდა გაუგზავნოთ 5 მან. წამლები უნდა შეუკვეთოთ მხოლოდ კავკასიაში წარმომადგენელს: Р. Я. Шмидтъ, Тхинвальская 12, Тифлисъ. (რ. შმიდტი, თხინვალის ქ. № 12, თბილისი).

(თვ.)

თუ გსურთ,

რემინგტონზე რიხამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ
ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

უფასოდ შეასრულებს ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდომ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგვინეთუხუცესები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გოლოვინის შესახვევი № 4.